

16. {3ქ} აუზში სამი მილია დაერთებული. პირველი და მეორეთი ჩაედინება წყალი, მესამეთი კი გამოედინება. ცნობილია, რომ როდესაც სამივე მილი ფუნქციონირებს, აუზი 10 საათში ივსება, ხოლო როცა მესამე მილი არ ფუნქციონირებს, აუზის $\frac{2}{3}$ ივსება 25 წუთში. რამდენ წუთში დაცლის მესამე მილი სავსე ავზს?
 ა) $\frac{75}{2}$ წთ-ში ბ) $17\frac{1}{7}$ წთ გ) 40 წუთში დ) 9სთ-ში, 22წთ-ში და 30წმ-ში ე) ვერ დავადგენთ
17. {1ქ} მუშები ანაზღაურებას საათობრივად, თანაბრად იღებენ. პირველი 3 საათი ისინი ერთად მუშაობდნენ, ხოლო შემდეგ პირველი მუშა 1 საათი მუშაობის შემდეგ, 40 წუთს ისვენებდა, ხოლო მეორე 15 წუთს. ცნობილია, რომ მუშაობის დაწყებიდან 8 საათის შემდეგ ისინი მორჩნენ სამუშაოს. ისინი ხელფასს ნამუშევარი საათების მიხედვით იღებენ. რა თანხა ეკუთვნის პირველ მუშას, თუ მეორემ აიღო 280 ლარი?
 ა) 40 ლარი ბ) 320 ლარი გ) $\frac{22400}{87}$ ლარი დ) 280 ლარი ე) 240 ლარი
18. {5ქ} მარიკა სავარჯიშო დარბაზში ყოველ მეოთხე დღეს დადის, ხოლო ცოტნე ყოველ მეექვსე დღეს. ცნობილია, რომ დღეს ერთად ივარჯიშეს, რამდენი დღე ივარჯიშებენ ისინი ერთად დღეიდან ზუსტად ერთი წლის განმავლობაში?
 ა) 31-ჯერ ბ) 12-ჯერ გ) 29-ჯერ დ) 35-ჯერ ე) 30-ჯერ
19. {1ქ} მოცემულია უსასრულო მიმდევრობა 1797179717971... იპოვეთ ამ მიმდევრობის 345-ე წევრი.
 ა) 1 ბ) 7 გ) 9 დ) 3 ე) ვერ დავადგენთ
20. {6ქ} ყვავილების მაღაზიაში რიგია. რიგში მარი, ინა, ლაზარე, ნინა და ნენე დგანან. მათ ერთმანეთზე შემდეგი ინფორმაცია მოგვაწოდეს:
 ნინამ - ლაზარე რიგში მეხუთეა, ნენე კი მეორე;
 ლაზარემ - ინა რიგში მეორეა, ნენე კი მესამე;
 მარიმ - ლაზარე რიგში პირველია, ნინა კი მეოთხე;
 ნენემ - ინა რიგში პირველია, ნინა კი მეხუთე.
 ასევე ვიცით, რომ თითოეული მათგანი ერთ სიმართლეს ამბობს და ერთ სიცრუეს. ვინ არის რიგში მეორე?
 ა) მარი ბ) ინა გ) ლაზარე დ) ნინა ე) ნენე
21. {4ქ} სამი მეგობარს - იზას, თათას და ვერას სხვადასხვა ცხოველები ჰყავთ. ერთს ჰყავს კატა, მეორეს თუთიყუში, ხოლო მესამეს ობობა. ასევე ცნობილია, რომ ერთ-ერთი მასწავლებელია, მეორე მკერავი, ხოლო მესამე მთარგმნელი. მოცემულია სამი პირობა:
 თათას იზასთან სტუმრობა სურს, რადგან თავისი ტანსაცმელი სულ გასაკერია.
 მთარგმნელს ძალიან მოსწონს მეგობრის ობობა
 ვერას კი ისე უყვარს თავისი ოთხფეხა ცხოველი, როგორც თავისი მოსწავლეები.
 რომელი ცხოველი ჰყავს თათას და რომელი პროფესიისა ის?
 ა) კატა, მასწავლებელი ბ) თუთიყუში, მკერავი გ) თუთიყუში, მთარგმნელი
 დ) ობობა, მთარგმნელი ე) კატა, მკერავი
22. {3ქ} რომელი საათია ახლა, თუ ახალი დღე-ღამის დაწყებიდან გასული დრო იმდენჯერვე მეტია ამ დღე-ღამის დარჩენილ დროზე, რომელი საათიც არის?
 ა) 01:00 ბ) 22:00 გ) 18:00 დ) 23:00 ე) 16:00
23. {2ქ} მოცემულია რიცხვები: 3333; 2436; 6600; 1533; 9361. რომელია მათ შორის ზედმეტი?
 ა) 3333 ბ) 2436 გ) 6600 დ) 1533 ე) 9361
24. {4ქ} 6-მა მეგობარმა, ერთმანეთთან ითამაშა 4-მოთამაშიანი თამაში რაღაც რაოდენობით. ვაკო თითოეულს ეკითხება, თუ რამდენი პარტია ითამაშეს და შემდეგ ამ მონაცემებს კრებს. რა რიცხვს ვერ მიიღებს ვაკო?
 ა) 36 ბ) 38 გ) 44 დ) 360 ე) 108
25. {1ქ} ორ პუნქტს შორის მანძილი 56 კმ-ია. იპოვეთ მანძილი ამ ორ პუნქტს შორის რუკაზე, რომლის მასშტაბია 1:700000.
 ა) 8 კმ ბ) $\frac{1}{8}$ სმ გ) 392 სმ დ) 80 სმ ე) 8სმ
26. {6ქ} მოცემულია ორი სიმრავლე $A = \{3; 5\}$ და $B = \{0; 5\}$. იპოვეთ $A \cup B$
 ა) $\{3; 5\}$ ბ) $\{0; 5\}$ გ) $\{0; 5\}$ დ) $\{0; 5\}$ ე) $\{3; 5\}$
27. {4ქ} რომელი არ არის სწორი პასუხი:
 ა) $5,0(3) \in \mathbb{Q}$ ბ) $\frac{30}{9} \in \mathbb{Z}$ გ) $\sqrt{2} \in \mathbb{I}$ დ) $N \in \mathbb{Z}$ ე) ყველა პასუხი სწორია
28. {3ქ} ჩამოთვლილთაგან, რომელია ურთიერთმარტივი რიცხვები?
 ა) 51 და 18 ბ) 76 და 40 გ) 12 და 18 დ) 91 და 26 ე) 15 და 56
29. {1ქ} თუ პარალელოგრამის ერთი კუთხე მართია, მაშინ ეს პარალელოგრამი აუცილებლად არის:
 ა) კვადრატი ბ) რომბი გ) ტრაპეცია დ) პარალელეპიპედი ე) არც ერთი
30. {5ქ} იპოვეთ მოცემული მონაცემების მედიანა: 12; 423; 12; 1; 234; 4; 98; 127; 10; 110; 111; 11.
 ა) 12 ბ) 104 გ) 98 დ) 55 ე) 422